KING VAKHTANG THE THIRD AND IERUSALEM ST. GROSS MONASTERY

(1300 y. January)

მეფე ვახტანგ III იერუსალიმსა და წმინდა ჯვრის მონასტერში (1300 წ. იანვარი)

ELDAR MAMISTVALISHVILI
Doctor of History, Professor of Gori State Teaching University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,
+995599117703, eldarmamistvalishvili@rambler.ru,
https://orcid.org/0000-0002-5978-7624

Abstract. There have been various scientific studies on Georgians, striving to make names for themselves in Jerusalem. Since Muslims had dominated the holy land, Georgian politicians and religious leaders constantly raised a subject on liberation of Jerusalem with European countries and promised allies their support. Georgia's effort especially was apparent during the ruling of king Lasha Giorgi the IV (1213-1223), when he intended to participate in the fifth crusade and even had the route for the attack to allies of Egypt drawn up. Alas, his plans had to be altered because of the Mongolian invasion in Georgia. He died after he had been wounded gravely in the battle. After the Mongolian occupation, Georgian rulers tried to take advantage of Mongolian and Egyptian war and free the holy land (they had been trying to return Jerusalem to its rightful Christian owners for twenty years with Armenian kings of Cilicia). The article claims that the St. Cross Monastery book recording of funeral prayers (Aghapi) gives us the information on King Vakhtang the third (1298 or 1302-1308) and Mongolian army were in Jerusalem and at St. Cross monastery, near Jerusalem in December, 1299 and in January 1300. The recording tells us that the king gave significant donation to monks, who used the income to do some renovations of the monastery. Thus, this claim elucidates quite remarkable facts that Georgian and Armenian kings among Mongols were in Jerusalem in January 1300. (although, some European and Georgian scholars show skepticism to the information).

Key words: Jerusalem, Mongols, Vakhtang the third, Aghapi, Egypt.

ელდარ მამისთვალიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის პროფესორი, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., №53, 1400,
საქართველო, +995599117703, eldarmamistvalishvili@rambler.ru,
https://orcid.org/0000-0002-5978-7624

აბსტრაქტი. ქართულ ისტორიოგრაფიაში მეცნიერულად არის შეწავლილი წმინდა მიწის, კერძოდ იერუსალიმისაკენ ქართველთა მისწრაფების მიზნებისა და შედეგების შესახებ. მას შემდეგ რაც წმინდა მიწაზე მუსლიმანები გაბატონდნენ ქართველი პოლიტიკური და რელიგიური მესვეურნი ევროპის სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობის დროს მუდმივად აყენებნენ წმინდა მიწის განთავისუფლების საკითხს და სავარაუდო მოკავშირეებს თვითონაც აქტიურ სამხედრო მონაწილეობას პირდებოდნენ.

ქართული სახელმწიფოს აქტიურობა ამ მხრივ რელიეფურად გამოჩნდა მეფე ლაშა გიორგის IV-ის დროს (1213-1223), როდესაც ის მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობას აპირებდა და მოკავშირეებთან ის მარშრუტიც ჰქონდა შეთანხმებული საიდანაც უნდა დაერტყა ეგვიპტის მომხრეებისათვის. მაგრამ მონღოლთა საქართველოზე თავდასხმებმა შეცვალა მეფის გეგემები, თვითონაც მათთან ბრძოლაში დაიჭრა და გარდაიცვალა. მონღოლების მიერ დაპყრობის შემდეგ ქართველი მეფეები ცდილობდნენ მონღოლების ეგვიპტის მამლუქთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა გამოეყენებინათ (ამას ცდილობდნენ კილიკიის სომეხ მაფეებთან ერთად თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში). მათი სურვილი იყო წმინდა ქალაქი იერუსალიმი ქრისტიანების განკარგულებაში გადასულიყო.

სტატიაში არის მტკიცება, რომ იერუსალიმის ქართულ წმინდა ჯვრის მონასტერში დაწერილი აღაპის ინფორმაცია ნათელს ხდის, რომ მეფე ვახტანგ III (1298 ან 1299 და 1302-1308) მონღოლთა ჯართან ერთად 1299 წლის დეკემბერსა და 1300 წლის იანვარში იერუსალიმსა და მის მახლობლად მდებარე ჯვრის მონასტერში იმყოფებოდა. აღაპიდან ჩანს, რომ მეფემ მონასტრის ბერებს მნიშვნელოვანი შესაწირი გადასცა, რომლითაც მათ გარკვეული სარესტავრაციო სამუშაო ჩაატარეს. ამგვარად, აღაპი სარწმუნოს ხდის ზოგიერთი თანამედროვე ევროპელი მემატიანეებისა და ისტორიკოსების ცნობებს (მათ მიმართ არსებობს, როგორც ევროპელი ისე ქართველი მკვლევრების სკეპტიციზმი) მონღოლებთან ერთად ქართველი და სომეხი მეფეების იერუსალიმში ყოფნას 1300 წლის იანვარში, რაც მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტია.

საძიებო სიტყვები: იერუსალიმი, მონღოლები, ვახტანგ III, აღაპი, ეგვიპტე.

შესავალი. ჯვაროსნების მიერ შექმნილ პოლიტიკურ ერთეულებს მუდმივი პრობლემები ჰქონდათ სირის-პალესტინის მუსლიმან მოსახლეობასთან და ახლო აღმოსავლეთი მუსლიმანურ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში. ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლაში მუსლიმანთა ლიდერად გამოდიოდა ჯერ აიუბიანების სახელმწიფო, შემდეგ მამლუქების ეგვიპტის სასულთნო, რომელიც ევროპელი ლათინების ინტერესებს ლახავდა როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. ჯვაროსანთა შორის და ევროპის ქვეყნებშიც არსებობდა იმედი, რომ ქრისტიანების დასახმარებლად აღმოსავლეთიდან მოვიდოდა დამხმარე ძალა იოანე ხუცესის ან დავით მეფის მეთაურობით. XIII საუკუნის 20-იან წლებში მოვიდნენ მონღოლები, რომლებიც ქრისტიანებმა თავდაპირველად აღიქვეს როგორც თანამორწმუნენი და მათგან დახმარების იმედი გაუჩნდათ. მაგრამ მოტყუვდნენ. მოტყუვდნენ საქართველოშიც, რომელიც მათ დაiპყრel 30-იან წლებში და ამის შემდეგ ქართველი მეფეები, სავალდებულო ბეგარის სახით, თავიანთი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობდნენ მონღოლთა სამხედრო კამპანიებში კავკასიაში, მახლობელ აღმოსავლეთში, განსაკუთრებით ეგვიპტის წინააღმდეგ ბრძოლებში.

მეთოდი. წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: ემპირიული ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზობრივ-შედარებითი ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, კონტენტ-ანალიზი, სისტემური ანალიზი.

შედეგები. ქართველმა მემატიანემ იცის მონღოლთა ჯარის მიერ იერუსალიმის აღება, მაგრამ არაფერს გვაუწყებს ქართველების წმინდა ქალაქში შესვლაზე. ყაზან-ყაენის ლაშქრობის მსვლელობის შესახებ ქართველი მემატიანის არასრულფასოვანი ინფორმირებულობის ეჭვს აჩენს იმავე ლაშქრობიდან დაახლოებით რვა წლის (ამ დროისათვის გარდაცვლილია ვახტანგ მეფე და მისი მეუღლე-დედოფალი რიფსიმე)

შემდგომ იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერში დადგენილი აღაპი მეფე ვახტანგ III-სა და მისი ცოლის, რიფსიმესათვის, სარწმუნოს ხდის, რომ ქართველები იმყოფებოდნენ წმინდა ქალაქში, ვახტანგ III-მ პირადად მოინახულა ჯვრის მონასტრის ბერები და მათდამი განსაკუთრებული ყურადღება გამოხატა.

ვფიქრობ, ქართული და ფრანგული წყაროები სრულ საფუძველს ქმნის, რომ 1299=1300 წლების მიჯნაზე ქართველი მეფე ვახტანგ III-ის იერუსალიმში ყოფნა და ჯვრის მონასტრის ბერებისათვის შეწირულობის გადაცემა ისტორიულ ფაქტად ჩავთვალოთ.

დისკუსია. ქართულ ისტორიოგრაფიაში ბევრი ითქვა და დაიწერა საუკუნეების განმავლობაში იერუსალიმისადმი ქართველების განსაკუთრებული ინტერესისა და ლტოლვის შესახებ, რაზეც აქ არ შევჩერდები[1]. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ XIII საუკუნის დააწყისიდან XVIII საუკუნის დასასრულამდე ქართველი დიპლომატები ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის დროს, ყოველთვის აყენებდნენ წმინდა მიწის განთავისუფლების საკითხს და შეიარაღრებული ძალით დახმარებასაც ჰპირდებოდნენ.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია დადგინდეს რამდენად შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს და რა სიახლეს გვაწვდის იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერში დაწერილი აღაპი, რომელიც გვამცნობს მეფე ვახტანგ III-ის იერუსალიმში ყოფნის და მის მიერ მონასტრის ბერებისათვის შესაწირის გადაცემის შესახებ. დიდი, საკვანძო მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევასაც, თუ რამდენად უმაგრებს აღაპი საფუძველს იმ ევროპულ წყაროებს, რომლებშიც არის მკვლევართათვის სადაო ინფორმაცია ქართველი მეფის ყაზანყაენის ჯართან ერთად იერუსალიმში ყოფნა 1300 წლის იანვარში.

ქრისტიანმა მემატიანეებმა და ისტორიკოსებმა საინტერესო ცნობები დაგვიტოვეს მონღოლთა ჯარში მყოფი ქართველი და სომეხი მეფეების ინტერესზე, რომ მონღოლ ყაენებს გაეთავისუფლებინათ წმინდა ქალაქი იერუსალმი და იგი ქრისტიანი ხალხებისთვის გადაეცათ. ასეთი თხოვნა, გარკვეული გაგებით, ილხანთა სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესებსაც მიესადაგებოდა. ეგვიპტის წინააღმდეგ ბრძოლებში ჩაბმული მონღოლი ყაენები დაინტერესებული იყვნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ერთად შეექმნათ ანტიეგვიპტური კოალიცია და მათი შეიარაღებული ძალები გამოეყენებინათ. თავის მხრივ მონღოლი მესვეურები ლათინ მეფეებს ჰპირდებოდნენ: თუ შეიქმნებოდა ანტიეგვიპტური სამხედრო კოალიცია და მონღოლებისა და ლათინებისადმი მტრულად განწყობილ ეგვიპტის სასულთნოზე გაიმარჯვებდნენ, ყაენი იერუსალიმს აუცილებლად ქრისტიანებს გადასცემდა.

არაპირდაპირი ცნობების საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ იერუსალიმის საკითხი პირველად მონღოლებთან დიპლომატიურ ურთიერთობაში რომის პაპმა ალექსანდრე IV-მ (1254-1261) დააყენა 1260 წელს ჰულაგუ ყაენთან გაგზავნილი ელჩობის *საშუალებით* (Jeckson, 2014:452). პაპის წინადადადებაზე პასუხი უნდა ყოფილიყო აბაღა ხანის ლათინი მდივნის რიჰარდუსის მიერ ლიონის მეორე საეკლესიო კრებაზე გაცხადებული, რომ აბაღა ვალდებულებას კისრულობდა მამლუქებზე გამარჯვების მოპოვების შემდეგ, ფრანკებს, ე.ი. ლათინებს გადასცემდა იერუსალიმს.

სომეხი ისტორიკოსის ჰეთუმის თხზულებაში ვხვდებით ცნობებს, რომლებიც გვაუწყებენ: როდესაც მონღოლთა ჯარმა 1259 წელს დაიპყრო დამასკო, სომეხმა და ქართველმა მეფეებმა არღუნ-ხანს სთხოვეს საერთო ძალით გაეთავისუფლებინათ წმინდა ქალაქი იერუსალიმი და ქრისტიანებისათვის დაებრუნებინათ იგი. არღუნ-ხანი შამანური რელიგიის ის მმართველი იყო, რომელიც მუსლიმანებს მტრობდა და ყველა ქრისტიანებთან კარგი ურთიერთობის დამყარება სურდა. არღუნი ცდილობდა ქრისტიანებთან კავშირში ებრძოლა ეგვიპტის წინააღმდეგ, რომელიც მონღოლების

[1] აღნიშნული საკითხის შემაჯამებელი ნაშრომი იხ. მამისთვალიშვილი, 2014:3-443.

კონკურენტი იყო ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ, სირია-პალესტინაში. ამ მხრივ მას მოკავშირეებად მიაჩნდა თავისი ვასალური ქრისტიანი ქვეყნები - საქართველო და სომხეთი. არღუნი ქართველებსა და სომხებს დაპირდა, რომ მამლუქებზე გამარჯვების შემდეგ მათს თხოვნას დააკმაყოფილებდა (Het'um, 2004:32-33).

სომეხი ისტორიკოსი გრიგორ აკნერცი მოგვითხრობს მონღოლების მიერ სირიაში მოწყობლი ლაშქრობაზე 1260 წელს და აღნიშნავს, რომ ალეპოსა და დამასკოს აღების შემდეგ ჰულაგუმ გაილაშქრა იერუსალიმზე: „ქალაქი იერუსალმი და წმ. საფლავი სალადინის დროიდან იყო ტაჯიკების მფლობელობაში. ამის შესახებ გაიგო ჰულაგუმ, იერუსალიმზე გაეშურა, აიღო იგი და როცა წმ. აღდგომის ტაძარში შევიდა, წმ. საფლავს ეთაყვანა. ამის შემდეგ [ჰულაგუ] დაბრუნდა აღმოსავლეთში. ამასობაში თათართა წინამძღოლმა კით-ბუღამ, სიფრთხილის ზომები არ დაიცვა და შევიდა მტრის ტერიტორიის სიღრმეში იერუსალიმის ქვემოთ 10 დღის [სავალზე], ამის შესახებ გაიგეს წყეულმა ეგვიპტელებმა და დიდი ძალით თავს დაესხნენ თათრებს, ნაწილი ამოწყვიტეს, ნაწილი გააქციეს, მრავალი დაატყვევეს. მათ თათრებს წაართვეს იერუსალიმი, ალეპო და დამასკო. ყველაფერი ეს [ეგვიპტელებმა] მოახდინეს ფრანკი რაინდების დახმარებით, რომლებსაც მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ კავშირი თათრებთან“ (Григор Акнерци,1871:39-40). აკნერცის ამ ცნობას, 1260 წელს მონღოლების მიერ იერუსალიმის აღების შესახებ არ ადასტურებს აღმოსავლური და დასავლური წყაროები. მაგრამ აუცილებლად უნდა ითქვას ქრისტიანი მემატიანებისა და ისტორიკოსების ტენდეციაზე წარმოაჩინონ მონღოლები, როგორც ქრისტიანების მოკავშირენი მუსლიმანებთან ბრძოლაში, კონკრეტულად იერუსალიმის მათი მორჩილებიდან დახსნის საქმეში. საფიქრებელია, რომ სომეხ იკსტორიკოსს აერია მოვლენები დროში და 1299 წლის დეკემბერისა და 1300 წლის იანვრის ამბები 1260 წელზე გადაიტანა.

ყაზან-ყაენის პირველი ლაშქრობა სირია-პალესტინაში წარმატებით დამთავრდა, მან იერუსალიმი დაიპყრო. მონღოლებთან ერთად იმყოფებოდნენ ქართველები და სომხები თავიანთი მეფეების წინამძღოლობით, ზოგიერთი ცნობით იქ იმყოფებოდა, აგრეთვე, კვიპროსის მეფე ლუზიანინი. ამ ფრანგული დინასტიის მეფე ანრი II ლუზანიანის (1285-1324) მონაწილეობა ყაზან-ყაენის ლაშქრობაში რამდენად შეეფერება სინამდვილეს მისი მონაწილეობა ყაზან-ყაენის პირველ ლაშქრობაში, სადაო საკითხია.

ყაენმა ქართველებსა და სომხებს მნიშვნელოვანი პრივილეგიები მიანიჭა. იერუსალიმში გატარებული ღონისძიებების გამო ეგვიპტის სულთანი ან-ნასირ ნასირ ად-დინ მუჰამადი ყაზან-ყაენს საყვედურობდა: „შენ მოხვედი ისლამის ქვეყნების წინააღმდეგ ჯარით, რომელიც შედგება სხვადასხვა რელიგიის მიმდევართაგან. ჯვრის აღმსარებლებმა გათელეს წმინდა ადგილები და შებღალეს იერუსალიმის სიწმინდენი, რომლებიც მეორეა ალაჰის სახლის [მექაში] და ალაჰის მოციქულის მეჩეთის [მედინაში] შემდეგ“ (Amitai-Preiss, 1987:246; ჯაფარიძე, 2016:52).

ყაზან-ყაენმა იერუსალიმი ქრისტიანებს გადასცა, ამასთან დაკავშირებით სილვია შეინი წერდა, რომ თანამედროვე ევროპელმა მემატიანეებმა 1300 წლისათვის დაგვიტოვეს დაწვრილებითი და საეჭვოდ ერთნაირი აღწერილობები წმინდა მიწის განთავისუფლების შესახებ. ნარატიული ცნობები და მრავალრიცხოვანი წერილები ამტკიცებენ, რომ 1300 წლის თებერვლიდან სექტემბრის ჩათვლით დასავლეთში ისეთი შთაბეჭდილება იყო, რომ წმინდა მიწა, მათ შორის იერუსალიმი წმინდა საფლავთან ერთად, მონღოლმა ხანმა ყაზანმა დაიპყრო და გადასცა ქრისტიანებს. სავარაუდოდ მოხდა წმინდა მიწის დაბრუნება ქრისტიანებისათვის. ს. შეინი კითხულობს: საიდან გაჩნდა ასეთი „ახალი“ ამბები და მიიღეს ისინი დასავლეთ ევროპაში. საბედნიეროდ, გამოქვეყნებული დოკუმენტების დიდმა რაოდენობამ მოგვცა საშუალება მივადევნოთ თვალი „სიახლეების“ გაჩენის მიზეზებს. მისი აზრით, ამ ამბის წარმოშობისა და გავრცელების საფუძველი იყო მონღოლთა სამხედრო წარმატება ჩრდილო სირიაში. ამ განსაკუთრებულ გარემოებათა

გამო, შეიძლება ითქვას: 1300 წელს ეს ამბავი იმდენად გადაკეთდა, რომ ქრისტიანების წარმოსახვაში ის ჩამოყალიბდა როგორც წმინდა მიწის ქრისტიანებისათვის გადაცემა. შემდეგ ს. შეინი, როგორც ჩანს, მისთვის ცნობილი წყაროებისა და ნარატიული ლიტერატურის განხილვის საფუძველზე, აზუსტებს თავის მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ ავტორთა უმრავლესობა წმინდა მიწის დაპყრობას მიაწერს მონღოლ ხანს, რომელსაც ახლდნენ სომხეთისა და საქართველოს ქრისტიანი მეფეები, ზოგიერთი ვერსიით კი კვიპროსის მეფე ლუზინიანი (Schein, 1979:805).[1] ყაზან-ყაენის ამ პირველ ლაშქრობაში ლუზინიანის ყოფნას აღნიშნავდა ბარჰებრაუსიც (იხ. ქვემოთ).

ქართველი მემატიანე მოგვითხრობს: მამლუქთა ჯარის დამარცხების შემდეგ „განიბნივნეს თათარნი, ტყვევნა ყვეს, მიუწია ლაშქარმან ვიდრე წმიდად ქალაქად იერუსალიმად, სადა-იგი მრავალი სული მოისრა ქრისტიანე, და უმეტეს სპარსნი[2]“ (ყაუხჩიშვილი, 1959:316). საყურადღებოა, რომ ქართველმა მემატიანემ იცის მონღოლთა ჯარის მიერ იერუსალიმის აღება, მაგრამ არაფერს გვაუწყებს ქართველების წმინდა ქალაქში შესვლაზე. რა თქმა უნდა, ეს გარემოება სერიოზული არგუმენტია იმისათვის, რომ ქართველი მემატიანის ცნობას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭოს ქართველების იერუსალიმში ყოფნის უარსაყოფად. მემატიანეს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა ქართველების იერუსალიმში ყოფნა და არ დაეფიქსირებინა თავის თხზულებაში. ძნელია დაჯერება იმისა, რომ მეფე ვახტანგ III იერუსალიმში შესულიყო და საქართველოში დაბრუნებულს მას და მის თანამებრძოლებს ლაშქრობის ამ მნიშვნელოვან ეპიზოდზე არაფერი ეთქვათ.

ყაზან-ყაენის ლაშქრობის მსვლელობის შესახებ ქართველი მემატიანის არასრულფასოვანი ინფორმირებულობის ეჭვს აჩენს იმავე ლაშქრობიდან დაახლოებით რვა წლის (ამ დროისათვის გარდაცვლილია ვახტანგ მეფე და მისი მეუღლე-დედოფალი რიფსიმე) შემდგომ იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერში დადგენილი აღაპი, რომელიც სარწმუნოს ხდის, რომ ქართველები და მათი მეფე იმყოფებოდნენ წმინდა ქალაქში, ვახტანგმა პირადად მოინახულა ჯვრის მონასტრის ბერები და მათდამი განსაკუთრებული ყურადღება გამოხატა. აღაპში ვკითხულობთ: „[თუესა მარტსა კე] ამასვე დღესა დიდებულსა ხარებისასა აღაპი და პანაშჯდი და რაჯზომიცა მღდელი და დიაკონი იყოს მეფეთა მეფესა ვახტანგისათჯს და მეუღლისა მისისა რიფსიმესათჯს. შეიმოსნენ და საწირავი მამამან მისცეს. და ვინცა არ დააკლოს და სრულობით გარდაიჯადოს, ღმერთმან იგი ნუ დააკლოს სასუფეველსა მისსა, ამინ. მას ჟამსა, ოდეს ჯუარისა მონასტერი კვ (1273) წელსა სპარსთა წაეღო, მაშინ რვაჯ თავი ლაჰრი და ათასი თეთრი ჩუენ მამან სოლომონ და სჯმეონ მოვაჯმარეთ მონასტერსა. ამისთა აღმასრულებელთა ღმერთმან თქუენ აღგისრულოს საწადელი თქუენი“ (მეტრეველი, 1962:42, 97-98, 164).[3]

იოსებ ჰამერ-პურგშტალის მიხედვით, 1299 წლის ნოემბერში მონღოლებმა აიღეს ქალაქი ჰემსი/ჰომსი და იერუსალიმ (Hammer-Purgstall, 1842:86-96, 106-129) ხოლო რაშიდ ად-დინი კი გვამცნობს, რომ ემირი მულაი 23 იანვარს დამასკოში დაბრუნდა. რ. ამიტაი ბაიბარს ალ-მანსურის მიხედვით წერს, რომ მულაი შეიჭრა პალესტინაში, დაარბია საფადი და როცა იერუსალიმს მიაღწია, ამოწყვიტა მუსლიმები და ქრისტიანები, ტყვედ წაიყვანა ქალები და ბავშვები (Amitai Preiss, 1987:244).

ჯვრის მონასტერში დადებული აღაპი ვახტანგ III-ისა და მისი მეუღლე რიფსიმესათვის დაწერილია 25 მარტს, ხარების დღეს, წელის მითითების გარეშე, სპარსელების/მუსლიმების მიერ ჯვრის მონასტერის „დატყვევებიდან“ 23 წლის შემდეგ.

---

[1] იქვე, სქოლიოში იხ. საკმაოდ ვრცელი ბიბლიოგრაფია.

[2] სპარსელებში იგულისხმება მუსლიმანები.

[3] ქართული დიპლომატიის საქმიანობა ჯვრის მონასტრის განთავისუფლებისათვის იხ. მამისთვა-ლიშვილი, 2016:130-143.

ეგვიპტის სულთანმა ბეიბარსმა ჯვრის მონასტრის ბერებს მონღოლების სასარგებლოდ ჯაშუშობაში დასდო ბრალი, მონასტერი დაარბიეს, ჯვარისმამა ლუკა მუხაისძე მოკლეს, მონასტერი ქართველებს ჩამოართვეს და მეჩეთად გადააკეთეს (ჯაფარიძე, 1995:14). ქართული და არაბული წყაროების შეჯერებით დ. გოჩოლეიშვილი ფიქრობდა, რომ მონასტრის მეჩეთად გადაკეთება მოხდა XIII ს. 70-იანი წლების დასაწყისში და არ უნდა სცილდებოდეს 1272 წლის 27 ივლისს (გოჩოლეიშვილი, 1978:32).

ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯვრის მონასტრის დატყვევებასთან დაკავშირებით არსებობს აზრი, რომ XIV საუკუნის პირველ მეოთხედამდე, ვიდრე არ მოხდა წმინდა ჯვრის მონასტრის განთავისუფლება მუსლიმანთა „ტყვეობიდან“, მანამდე, ელ. მეტრეველის მიხედვით, მონასტრის ქართველი ბერები იქიდან გაძევებულნი იყვნენ (მეტრეველი, 1962:42). გ. ჯაფარიძე კი წერს: „ჯვრის მონასტერი ამ დროს მეჩეთად იყო გადაკეთებული და მისი ბერები, ჩანს, სხვადასხვა მონასტერში ცხოვრობდნენ“ (ჯაფარიძე, 1916:54). ამაზე მე სხვაგვარად ვფიქრობ.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ, რამდენად იყო ჯვრის მონასტერი მეჩეთად გადაქცეული, სად იმყოფებოდნენ მონასტრის ბერები და სად შეიძლებოდა, რომ ქართველ მეფეს ისინი მოენახულებინა, ამისათვის უნდა ითქვას შემდეგი: ცნობილია, რომ შეიხ ხიდრმა მონასტერი აიკლო, იქიდან ბერები გარეკა და შიგნით მეჩეთი დაარსა. აღაპი, ვფიქრობ, საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ბერები მცირე ხნის შემდეგ მონასტერში დაბრუნდნენ, სადაც იმავდროულად მეჩეთიც არსებობდა, რომელიც, ჩემი აზრით, დიდად არ ზღუდავდა ქართველი ბერების საქმიანობას, რადგან როგორც 1571 წლის ერთ-ერთი დოკუმენტიდან (ჰუჯჯათი) ჩანს, მეჩეთი მდებარეობდა მონასტრის კარიბჭესთან (სალამე, 1991:11-13). მონასტერი რომ ფუნქციონირებდა 1300 წელს ვახტანგ მეფის იქ ყოფნის დროს, ამაზე მიუთითებს აღაპის ის ადგილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ დასახელებულ წელს მეფემ მონასტერს შესწირა რვა თავი ლაჰრი[1] და ათასი თეთრი. უეჭველია აღაპი დაიწერა ვახტანგ მეფის გარდაცვალების, ე.ი. 1308 წლის შემდეგ, მაგრამ ზუსტად როდის, ამის თქმა შეუძლებელია.

აღაპი, ვფიქრობ, უცილობელს ხდის მეფე ვახტანგის იერუსალიმსა და ჯვრის მონასტერში მცირე ხნით ყოფნას. წმინდა ქალაქში შესვლა რთული არ უნდა ყოფილიყო მონღოლთა ჯარის მიერ იერუსალიმში მოწყობილი მოსახლეობის ჟლეტისა და ძარცვის შემდეგ, როდესაც ეგვიპტის სულთნის წარმომადგენლები და ქალაქის შეიარაღებული დაცვა იქ აღარ იმყოფებოდა. იმ რამდენიმე დღეში, რომელიც ქალაქსა და მის მიდამოებში მონღოლ-ქართველ-სომეხთა ჯარმა დაჰყო, რა თქმა უნდა, მეფე მცირე დაცვითაც შეძლებდა იერუსალიმის კედლებს მიღმა რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ ჯვრის მონასტერში მისვლას და ბერების მონახულებას.

ამავე საკითხზე გვაქვს ჟან დე ს. ვიქტორის ძალიან საინტერესო ცნობა, რომლის მიხედვით, ყაზანმა, იერუსალიმში შესვლის შემდეგ, სომხეთის მეფეს დაუბრუნა ის ტერიტორიები, რომლებიც ოდესღაც ეგვიპტის სულთანმა კილიკიის სომეხთა სამეფოს ჩამოართვა. წყაროს მიხედვით, აბაღამ თავის ძმას სირია ჩააბარა, იერუსალიმი კი ქართველებს გადასცა. ის აგრეთვე გვაცნობებს, რომ სომხეთის მეფემ 1300 წლის იანვარში თხუთმეტი დღე გაატარა იერუსალიმში და ამ დროში აღადგინა ქრისტიანული ღვთისმსახურება, რომ ქალაქისა და მისი შემოგარენის ფლობის უფლება ოფიციალურად გადაეცა ყაზანის სიგელით. ამის შემდეგ სომხეთის მეფე წაჰყვა ყაზანს დამასკოში და მასთან გაატარა ზამთარი. როდესაც გაიგო იერუსალიმის განთავისუფლების ამბავი,

[1] ლაჰრი - ძვირფასი ქსოვილი, რომელიც, ელ მეტრეველის განმარტებით, ზოგჯერ გამოყენებული იყო როგორც ფულის ექვივალენტი. რვა თავი ლარი უნდა ნიშნავდეს რვა სახის ფარჩას, ოქროქსოვილს და, ალბათ, იყო ნაალაფარი (მეტრეველი, 1962:42).

გახარებულმა პაპმა ბონიფაციუს VIII-მ (1294-1303) 1300 წლის 7 აპრილს ინგლისის მეფე ედუარდ I-ს აცნობა, რომ წმინდა მიწა მალე მთლიანად გათავისუფლდებოდა.[1]

ბარ ჰებრეუსის გადმოცემით: „მონღოლთა ხანმა ყაზანმა 1299 წ. 16 ოქტომბერს თავრიზიდან გაილაშქრა ეგვიპტის წინააღმდეგ. მასთან გაერთიანებული იყვნენ მეფეები სომხეთისა (ჰეთუმი), საქართველოსი (დავითი. უნდა იყოს ვახტანგი) და კვიპროსის“ (Barhebraei, 1890; ფერაძე, 1995:35). ამ ლაშქრობაში ქართველების მონაწილეობას აღნიშნავდა და საინტერესო ცნობაც დაგვიტოვა რაშიდ ად-დინმა თავისი შვილის, ფირ-სულთანისათვის გაგზავნილ წერილში. ფირ-სულთანი იყო საქართველოს ჰაქიმი (მმართველი, გუბერნატორი), რომელმაც ყაზან ყაენისაგან მიიღო ბრძანება, რომ ეზრუნა ადგილობრივ რაითებზე (ყმები). თვითონ ყაზანი სირია-ეგვიპტისკენ მიდიოდა, ხოლო მონღოლი ამირები საქართველოსკენ გაემართნენ 120 ათასი მეომრით „სამსუნის, აფხაზეთისა და ტრაპიზონის მიუვალ მთებში გამაგრებული ურჩი ხალხისა და ბილწი ბრბოს წესრიგში მოსაყვანად და მათთვის მონობისა და მორჩილების უღლის დასადგმელად“ (ტაბატაძე, 1968:82). რაშიდ ად-დინის წერლიდან ამოღებულ ამ ფრაგმენტში, ვფიქრობ, უნდა იყოს მინიშნება მონღოლთა ხელისუფლების მორჩილებიდან გასული დასავლეთ საქართველოს დამორჩილების მცდელობაზე. დასავლეთ საქართველოში ფეოდალური აშლილობა მძვინვარებდა, მეფე კონსტანტინე II-ს (1293-1327) გამეფების დღიდან უმცროსი ძმა მიქელი ებრძოდა. მონღოლებს დასავლეთი საქართველო, ნომინალურად მაინც, თავიანთ იმ ვასალურ სამეფოდ მიაჩნდათ, რომელიც ილხანების მტერი ეგვიპტის სასულთნოსთან და ოქროს ულუსთან კარგ ურთიერთობაში ყოფნას ცდილობდა. ყოველივე ეს ვარაუდია, რადგან ძნელია სიმართლის გარკვევა რაშიდ ად-დინის წერილიდან ამონარიდის მიხედვით. მხოლოდ ცნობილია, რომ ილხანთა სახელმწიფოს უმაღლესი მოხელე რაშიდ ად-დინი - ვეზირი და ისტორიკოსი კარგად იყო ინფორმირებული საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ. ჯერ ერთი, მისი შვილი, როგორც ითქვა, საქართველოში გუბერნატორობდა და ისიც ცნობილია, რომ რაშიდ ად-დინს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში მამულები ჰქონდა (ტაბატაძე, 1968:80-81).

რაშიდ ად-დინი ითვალისწინებდა ვითარების სიმწვავეს სირია-პალესტინაში, ომის დროს ქართველთა ჯარის მნიშვნელობას ილხანთა სახელმწიფოსათვის, ქართველი მოსახლეობის მოსალოდნელ უკმაყოფილებას და იმავე წერილში შვილს აფრთხილებდა, რომ არ უნდა დაუშვას თბილისისა და მისი ვილაიეთის მკვიდრებს, მცხოვრებლებსა და რაიებს აშკარა ბოროტება და განუკითხავი ძალადობა მიადგეთ. მაგრამ თუ მონღოლი ამირები სამართლიანობის გზას თუნდაც ერთი ბეწვით გადაუხვევენ პირადი სარგებლობის მიზნით, ფირ-სულთანმა უნდა აცნობოს მამა-ვეზირს, რათა მყისვე აღკვეთოს მათი საქციელი, როგორც ქველმოქმედებასა და დიდსულოვნებას შეეფერება. `ხოლო როდესაც ხსენებული ამირები იმ ჩემი შვილის ვილაიეთს გადაივლიან, თვითონ, მყისვე და დაუყოვნებლივ, საქართველოს ჯარითა და საქონლით რაჰას ციხისკენ

[1] *`Selon Jean de S. Victor..., Gazan abandonna au roi d'Arménie les territoires que lui avait arrachés le sultan, A son frère la Syrie, et Jérusalem aux Géorgiens. La Cbron. du roy, d^Arm, (660), rapporte même que te roi d'Arménie séjourna pendant quinze jours A Jé< rusalem en janvier 1300, qu'il y rétablit le culte chré> tien, que la possession de la ville et des environs lui fut officiellement conférée par un diplôme de Gaxan, qu'il suivit ensuite ce dernier A Damas et y passa l'hiver auprès de lui (1). — Des récits tout semblables se trouvent dans la relation du frère Ri- coldo de Monte Croce (éd. Laurent , p. 12 1 et s.). Le pape , au comble de la joie , annonça au roi Edouard I la prochaine délivrance de la Terre Sainte, par une lettre du 7 avril 1300 (Potthast, Reg. pontif,, n» 24937) (Archives, 1881:649). XIV saukunis somexi mematiane nerses palienci იერუსალიმის აღებას ათარიღებს 1302 წლით (Галстян, 1962: 96). იმავე წყაროს მოკლე მოკლე შინაარსი იხ. Цагарели, 1888:55 .*

გაემართოს მარდინის გზით და მარდინის სულთანს, ჰასან ქეიფს... და ფარსის ლაშქარს შეუერთდეს და ჩვენს მოსვლას დაელოდოს, საქართველოს მმართველობა კი თავის ნაიბს (ნაცვალი-ე.მ.) ჩააბაროს, რომ ნიადაგ მართლმსაჯულების გამოვლენასა და სამართლიანობის ღაღადში იყოს...“ (ტაბატაძე, 1968:82-83).

როგორც ბარ ჰებრეუსი გადმოგვცემს, მას ბიზანტიელი ისტორიკოსის, მწერლისა და საეკლესიო მოღვაწე გეორგი პახიმერისგან გაუგია, ყაზანს თავის ლაშქარში ჰყავდა იბერიელი ქრისტიანები თავიანთი ჯვრიანი დროშითურთ (ფერაძე, 1995:35). ეს ცნობა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ახალგამუსლიმებული ყაზან-ყაენი ითმენდა ქართველი ქრისტიანი მხედრების მიერ მათი რელიგიური სიმბოლოს დემონსტრირებას ლაშქრობის დროს.

ის, რომ იერუსალიმში ქრისტიანებს გარკვეული წარმატება ჰქონდათ 1300 წელს, გვამცნობს ოქტავ ეპიფანელი ზემოხსენებული ჟან დე ს. ვიქტორის მონათხრობის საფუძველზე, რომელიც ციტირებული აქვს გრ. ფერაძეს: „1300 წ. იერუსალიმში ქრისტიანებს საშუალება ჰქონდათ ედღესასწაულათ აღდგომა. ყაზანმა დაუბრუნა სომხეთის მეფეს ტერიტორია, რომელიც ადრე სულტანმა მას წაართვა, თავის ძმას გადასცა სირია, ქართველებს - იერუსალიმი“ (ფერაძე, 1995:35).

XIV საუკუნის სომეხი მემატიანე ნერსეს პალიენცი ყაზან ყაენის, სომხებისა და ქართველების მიერ იერუსალიმში ქრისტიანების სასარგებლოდ გატარებულ ღონიეძიებებს ისე გადმოგვცემს, თითქოს ყოველივე მხოლოდ სომხებისთვის ყოფილა გამიზნული. მისი თქმით, იერუსალიმი, თავისი წმინდა ადგილებით და ყოველგვარი შემოსავლით ყაზან ყაენს სომხეთის მეფე ჰეთუმისთვის უბოძებია (Галстян, 1962:96), რაც ფრანგული და ქართული წყაროების არასწორი ინტერპრეტაციაა.

მიუხედავად დ. გოჩოლეიშვილის მოსაზრებისა, რომლის თანახმად, რადგან არაბული წყაროები „საერთოდ არ იცნობენ იერუსალიმის ქართველთა ან სომეხთა ხელში გადასვლის ფაქტს, რაც თავისთავად არ არის გამორიცხული, მაგრამ, ჯერჯერობით, ძნელია, რომელიმე ვერსიას მიენიჭოს უპირატესობა“ (გოჩოლეიშვილი, 1978: 109).

ვფიქრობ, ქართული და ფრანგული წყაროები სრულ საფუძველს ქმნის, რომ 1300 წლის დასაწყისში ქართველი მეფე ვახტანგ III-ის და მისი ამალის იერუსალიმში ყოფნა და ჯვრის მონასტრის ბერებისათვის შეწირულობის გადაცემა ისტორიულ ფაქტად ჩავთვალოთ.

საბოლოოდ, ყაზან ყაენისა და მისი ვასალების ეგვიპტის წინააღმდეგ 1299 წლის ლაშქრობა, ისევე როგორც შემდგომი ორიც, წარუმატებლად დასრულდა და მონღოლების მიერ დაპყრობილი იერუსალიმი და სხვა ადგილები ისევ მამლუქებს დარჩათ.

როგორც ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, 1300 წლის შემოდგომაზე ყაზან ყაენმა ეგვიპტეზე ახალი ლაშქრობისათვის მზადება დაიწყო. 1301 წელს მონღოლების მეორე ლაშქრობის წინ მან დაიბარა თავისი სპასპეტი ხუტლუბუღა, მეფე ვახტანგი, საქართველოს ყველა მთავარი და ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ ლაშქრობა დაავალა. ეს ლაშქრობა, შეიძლება ითქვას, ჩაიშალა რთული ბუნებრივი პირობებისა და სურსათ-სანოვაგის უკმარისობის გამო. ყაენის ჯარი უკან დაბრუნდა.

1303 წელს ილხანთა ლაშქარი ისევ შეიჭრა სირიაში. 31 მარტს ჰამას აღმოსავლეთით მამლუქებმა წარმოშობით ქართველი ასანდამურ ქურჯის მთაურობით დაამარცხეს ილხანთა 4 ათასიანი ლაშქარი. მონღოლთა ძირითადმა ლაშქარმა, რომელშიც მეფე ვახტანგი იმყოფებოდა, დამასკომდე მიაღწია, მაგრამ ორდღიან ბრძოლაში (20-22 აპრილი) მარჯ ას-სუფართან სასტიკად დამარცხდა (ჯაფარიძე, 2016:56-57). მამლუქებმა მოხერხებულობით დაჯაბნეს ყაენის ჯარი. „დაღათუ მოსწყდეს ურიცხჳ თათარნი და ქართველნი, და ვახტანგ და ნოინნი მშჳდობით დარჩეს და მოვიდეს ყაზანს წინაშე“ (ყაუხჩიშვილი, 1959:317-318).

ყაზანი ისევ აპირებდა ეგვიპტის წინააღმდეგ გალაშქრებას, მაგრამ დაავადდა და 1304 წლის 11 მაისს გარდაიცვალა. ყაზან-ყაენის მოღვაწეობასმაღალი შეფასება მისცა ჟამთააღმწერელმა: „გარნა დასნეულდა სენითა მუცლისათა და მოკუდა, რომელი იგლოვა ყოველმა კაცმან სიმართლისათჳს, რომელ ავის მოქმედი და მეკობრე და უსამართლო კაცი აღარ იპოვებოდა საყაენოსა მისსა და ამისთჳს დაუტევა მწუხარება ყოველთა“ (ყაუხჩიშვილი, 1959:319).

ყაზან-ყაენის სიკვდილის შემდეგ ილხანთა სახელმწიფოს ტახტი დაიკავა მუჰამად ხუდაბანდა ოლჯეითუმ (1304-1317). როგორც ქართველი ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, მან განიზრახა გილანის დაპყრობა და „მიუწოდა მეფესა ვატანგ ქართველითურთ და ბექას სამცხითურთ“. ბექამ კი წარგზავნა თავის ლაშქარი, მაგრამ თვითონ თავი შეიკავა. „მაშინ მივიდა ვახტანგ და წარვიდნენ გილანს. მუნგანყო ყეენმან სპა თჳსი ოთხად: ვახტანგ მეფე დაიპყრა თჳს თანა; ერთკერძ წარავლინა ხუტლუ-ბუღა და სპანი ბექასნი; ერთკერძ ჩოფან ნოინი და ზოგნი სპანი ვახტანგ მეფისანი და ერთკერძ უსენ-ნოინი და ოვსნი“ (ვახუშტი, 1973:251). ვახტანგმა და მისმა ქართველებმა მხნედ იბრძოლეს და მრავალიც დაიღუპა, „გარნა არა უკუნ იქცა ვახტანგ და დაიჭრა თვითცა მცირედ ბაყუსა ზედა“. გილანელებმა დიდად დაჯაბნეს ყაენის ლაშქარი. ყაენმა დაუფასა ვახტანგსა და მის ლაშქარს თავდადება და „დიდად პატივ-სცა ყეენმან სიმჳნისა მათისათჳს და მისცა ნიჭნი და ჯილდონი და წარმოავლინა ქართლს“ (ვახუშტი, 1973:252).

ვახტანგ III-ის თავდადება ილხანთა სახელმწიფოს სიძლიერისათვის, დამთავრდა იმით, რომ გამუსლიმანებაზე უარის თქმისთვის ოლჯეითუ ყაენმა ვახტანგ მეფე ნახჭევანში „ტანჯვითა ანუ ექსორია-ყო სპითურთ და მუნ მოკლა“ (ვახუშტი, 1973:253).

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

გოჩოლეიშვილი, დ. (1978). *საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობების შუქზე XIII-XIV საუკუნეებში.* №1. თბილისი: მეცნიერება.

მამისთვალიშვილი, ე. (2014). *საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (საქართველო და ჯვაროსნები).* თბილისი.

მამისთვალიშვილი, ე. (2016). *იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი* (მეორე შევსებული გამოცემა). თბილისი.

მეტრეველი, ე. (1962). *მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.).* თბილისი.

სალამე ო. გერშონ ბენ ორენ. (1991). *ქართველები იერუსალიმში XVI საუკუნის სამი არაბული დოკუმენტის მიხედვით.* თბილისი.

ტაბატაძე, კ. (1968). რაშიდ ად-დინის ცნობები საქართველოს შესახებ (მოქათაბათ-ე რაშიდი). *ქართული წყაროთმცოდნეობა.* II. თბილისი: მეცნიერება.

ფერაძე, გრ. (1995). *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ.* გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გოჩა ჯაფარიძემ. თბილისი: მეცნიერება.

ქართლის ცხოვრება. II. (1959). ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: მეცნიერება.

ბატონიშვილი ვახუშტი. (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. *ქართლის ცხოვრება,* IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: მეცნიერება.

ჯაფარიძე, გ. (1995). ქართველები იერუსალიმში ახლადმიკვლეული არაბული დოკუმენტების შუქზე. *ლიტერატურული საქართველო.* 15. 02. 1995.

ჯაფარიძე, გ. (2016). *საქართველო და ეგვიპტის მამლუქები.* თბილისი,

Amitai-Preiss R. (1987). Mongol Reids into Palestine (A.D. 1260 and 1300). *Jornal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Irland.* 2. pp. 236-255.

Archives de l'Orient Latin. (1881). *Publiées sous patronage de la Societé de l' Orient Latin*. I, Paris: Ernest Leroux.

Barhebraei. (1890). *Chronikon Syriacum*. Ed. P. Bedjan. Paris.

Hammer-Purgstall. (1842).*GeSchichte der Ilxanen*. II.

H et'um the Historian's History of the Tartars. (2004). [The Flower of Histories of the East] compiled by Het'um the Armenian of the Praemonstratensian Order Translated by Robert Bedrosian Sources of the Armenian Tradition. Long Branch: New Jersey. https://ia600201.us.archive.org/18/itemsHeTumTheHistoriansFlowerOfHistories-OfTheEast/HeTum.pdf (წვდომის თარიღი: 10.07.2021).

Jackson, P. (2014). *The Mongols and The West, 1221 – 1410*. Routledge. London and New York. Press. pp. 805-819. იქვე სქოლიოში იხილეთ საკმაოდ ვრცელი ბიბლიოგრაფია: https://www.jstor.org/stable/565554S

Shein, S. (1979). Gesta Dei per Mongolos 1300. The Genesis of a Non-Event. *The English Historical Review.* Vol. 94, No. 373 (Oct.). Published By: Oxford University.

Армянские источники о монголах. (1962). *Извлечения из рукописей XIII-XIV вв*. Перевод с древнеармянского, предисловие и примечфния А. Г. Галстяна. Москва.

Акнерци, Гр. (1871). *История народа стрелков (Монголов).* Текст воспроизведен по изданию: История монголов инока Магакии, XIII века. Москва.

Цагарели, А. А. (1888). Помятники грузинской старины в св. Земле и на Синае. *Православный Палестинский Сборник.* IV.

REFERENCES

gocholeishvili, d. (1978). *sakartvelo makhlobeli aghmosavletis saertashoriso urtiortobebis shukze XIII-XIV sauk'uneebshi [Georgia in the scope of international relations of the Near East in XIII-XIV cc.]*. №1. Tbilisi: Metsniereba.

mamistvalishvili, e. (2014). *sakartvelos sagareo p'olit'ik'a da dip'lomat'ia (sakartvelo da jvarosnebi) [Georgia's foreign policy and diplomacy (Georgia and Crusaders)].* Tbilisi.

mamistvalishvili, e. (2016). *ierusalimis ts'minda jvris monast'eri [Monastery of the cross, Jerusalem].* (Second edition). Tbilisi.

met'reveli, e. (1962). *masalebi ierusalimis kartuli k'oloniis ist'oriisatvis (XI-XVII ss.) [Materials for the history of the Georgian colony in Jerusalem (XI-XVII centuries)].* Tbilisi.

salame o. gershon ben oren. (1991). *kartvelebi ierusalimshi XVI sauk'unis sami arabuli dok'ument'is mikhedvit [Georgians in Jerusalem according to three 16th century Arabic documents].* Tbilisi.

t'abat'adze, k'. (1968). rashid ad-dinis tsnobebi sakartvelos shesakheb (mokatabat-e rashidi) [Rashid Ad-Din Information about Georgia (Mokhatabat-e Rashid)]. *kartuli ts'qarotmtsodneoba [Georgian Source Studies*]. II. Tbilisi.

peradze, gr. (1995). *utskhoel p'iligrimta tsnobebi p'alest'inis kartveli berebisa da kartuli monast'rebis shesakheb [Information of foreign pilgrims about Georgian monks and*

Georgian monasteries in Palestine]. Gocha Japaridze prepared an introductory letter and attached additional notes for publication. Tbilisi: Metsniereba.

kartlis tskhovreba [Georgian chronicles]. II. (1959). The text is established according to all major manuscripts by S. Kaukhchishvili. Tbilisi: Metsniereba.

bat'onishvili vakhusht'i. (1973). aghts'era sameposa sakartvelosa [Description of the Kingdom of Georgia]. *kartlis tskhovreba [Georgian chronicles].* IV. The text is established according to all major manuscripts by S. Kaukhchishvili. Tbilisi: Metsniereba.

japaridze, g. (1995). kartvelebi ierusalimshi akhladmik'vleuli arabuli dok'ument'ebis shukze [Georgians in the light of the newly discovered Arabic documents in Jerusalem]. *lit'erat'uruli sakartvelo [Literaturuli Saqartvelo].* Tbilisi. 15. 02. 1995.

japaridze, g. (2016). *sakartvelo da egvip't'is mamlukebi [Georgia and the Mamluks of Egypt].* Tbilisi.

Amitai-Preiss R. (1987). Mongol Reids into Palestine (A.D. 1260 and 1300*). Jornal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Irland.* 2. pp. 236-255.

Archives de l'Orient Latin [Archives of the Latin Orient]. (1881). Publiées sous patronage de la Societé de l' Orient Latin [Published under the patronage of the Society of the Orient Latin]. I, Paris: Ernest Leroux.

Barhebraei. (1890). *Chronikon Syriacum.* Ed. P. Bedjan. Paris.

Hammer-Purgstall. (1842).*GeSchichte der Ilxanen [History of the Ilxans].* II.

H et'um the Historian's History of the Tartars. (2004). [The Flower of Histories of the East] compiled by Het'um the Armenian of the Praemonstratensian Order Translated by Robert Bedrosian Sources of the Armenian Tradition. Long Branch: New Jersey. https://ia600201.us.archive.org/18/itemsHeTumTheHistoriansFlowerOfHistories-OfTheEast/HeTum.pdf (Accessed: 10.07.2021).

Jackson, P. (2014). *The Mongols and The West, 1221 – 1410.* Routledge. London and New York Press. pp. 805-819. See the rather extensive bibliography in the footnote: https://www.jstor.org/stable/565554S

Shein, S. (1979). Gesta Dei per Mongolos 1300. The Genesis of a Non-Event. *The English Historical Review.* Vol. 94, No. 373 (Oct.). Published by: Oxford University.

Armjanskie istochniki o mongolah [Armenian sources about the Mongols]. (1962). Izvlechenija iz rukopisej XIII-XIV vv [Extracts from manuscripts of the XIII-XIV centuries]. Translation from ancient Armenian, preface and notes by A.G. Galstyan. Moscow.

Aknerci, Gr. (1871). Istorija naroda strelkov (Mongolov) [The history of the people of shooters (Mongols)]. The text is reproduced by edition: *Istorija mongolov inoka Magakii, XIII veka [History of the Mongols of the monk Magakia, XIII century].* Moscow.

Cagareli, A. (1888). Pomjatniki gruzinskoj stariny v sv. Zemle i na Sinae [Monuments of Georgian antiquity in St. Earth and Sinai]. *Pravoslavnyj Palestinskij Sbornik [Orthodox Palestine Collection].* IV.